



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Legal Entity Public Law
SAMTSKHE -JAVAKHETI STATE UNIVERSITY
ტარმობადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL



ოქთი N^o 12

„11“ ეკისძიებითი 2019 წ.

დადგენილება №53

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის N 21 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში“ და აღნიშნული დებულების:

1.1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს სხდომა ტარდება თვეში ერთხელ (საჭიროების შემთხვევაში მოიწვევა რიგგარეშე სხდომა. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა დეკანის, უხუცესი წევრის ან საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ).“

1.2. მე-3 მუხლი მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იყოს მისი ყველა წევრი. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭირს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა იმ შემთხვევისა როცა განიხილება დეკანის არჩევის და დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი.“

1.3. მე-3 მუხლი მე-8 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლ) განსაზღვრავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო კომისიის შემადგენლობას.

1.4. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

9. დეკანის ან მისი მოადგილის დროებით არ ყოფნის შემთხვევაში, გადაუდებელი საჭიროებისას საბჭოს სხდომის მოწვევის და წარმართვის უფლება აქვს უხუცეს წევრს. რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს იმავე სხდომაზე საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას.

1.5. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

„მუხლი 4. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამები

1. ფაკულტეტზე ხორციელდება პროფესიული, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები.

2. თითოეულ პროგრამას კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო და რომელიც ვალდებულია პასუხი აგოს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სწორად წარმართვაზე.“

1.6. მე-5 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში.“

1.7. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეკანის დროებით არყოფნის შემთხვევაში ასრულებს დეკანის უფლება-მოვალეობას.“

1.8. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. ფაკულტეტის სპეციალისტი

სპეციალისტი:

- ა) უზრუნველყობს ფაკულტეტზე არსებული სტუდენტთა პირადი საქმეებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოებას და დაცვას;
- ბ) მომსახურეობას უწევს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- გ) ასრულებს დეკანის ცალკეულ დავალებებს.“

1.9. მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე შესაბამისი დარგის/სპეციალობის მიხედვით იქმნება სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს/საბჭოების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.“

1.10. მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ შესაბამისი დარგის წარმომადგენლები - სპეციალობის მქონე პირების წარმომადგენლები საქართველოდან და უცხოეთიდან, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმისა და წესის შესაბამისად.“

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს ინუინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს.
4. საფუძველი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინუინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 2019 წლის 06 დეკემბრის გადაწყვეტილება N27/12/01/01.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ო. ჩიჭავა

ლავრენტი ჩიბურდანიძე